ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №48

15 აპრილი, 2025 წელი
13:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
კახაბერ ლაბუჩიძე, თინათინ ნიბლოშვილი, ზურაბ ჩიკვილაძე, ნათია მოდებაძე, გურამ ოქროპირიძე და ნინო კვიტაიშვილი.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
1. ქეთევან ბახტაძე-გეგეჭკორი – განმცხადებლი

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა კონსტანტინე ანდრონიკაშვილის საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფის განთავსების შესახებ (19/032510167-03; 11.04.2025).
მომხსენებელი: მერაბ გეგეჭკორი
თანამდებობა: განმცხადებელი

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხი.**

კახაბერ ლაბუჩიძემ კომისიის წევრებს გააცნო განათლებისა და კულტურის კომისიაში წარმოდგენილი წერილი, რომელიც შეეხებოდა კონსტანტინე ანდრონიკაშვილის საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფის განთავსების შესახებ (19/032510167-03; 11.04.2025) მემორიალური დაფის განთავსების საკითხს. თავმჯდომარემ კომისიის წევრებსა და განმცხადებლს განუმარტა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების სამართლებრივი პროცედურები, კერძოდ აღნიშნა, რომ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ მსჯელობს თბილისის

მერიის მიერ შექმნილი კომისია. საკითხის ინიციირებისთვის დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს თბილისის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს: სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი, რომლითაც დასტურდება განმცხადებლის მიერ მითითებული უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის არსებობა/არარსებობა; მესაკუთრის თანხმობა; მემორიალური დაფის განთავსების შესახებ რეკომენდაცია შესაბამისი უწყებებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ მემორიალური დაფის განთავსება მოთხოვნილია იმ შენობა/ნაგებობაზე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, კომისიის დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, განმცხადებელმა სამსახურში უნდა წარადგინოს არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება.

კახაბერ ლაბუჩიძის განცხადებით, კონსტანტინე (კოტე) ემანუელის ძე ანდრონიკაშვილი დაიბადა 1876 წელს, ტფილისის გუბერნიის სიღნაღის მაზრის სოფელ კაჭრეთში, თავადის ოჯახში. 1897 წელს თბილისის მესამე გიმნაზიის დასრულების შემდეგ სწავლა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო. მოგვიანებით იმავე ფაკულტეტზე კიევის უნივერსიტეტში გადავიდა. 1899-1900 წლებში პოლიტიკური აქტიურობის გამო, კ. ანდრონიკაშვილი უნივერსიტეტის მესამე კურსიდან გარიცხეს და მალე დააპატიმრეს. კიევის ციხეში 5 თვის პატიმრობის შემდეგ იგი იძულებული გახდა, თავის მშობლიურ სოფელში დაბრუნებულიყო. 1904 წელს ანდრონიკაშვილი კვლავ დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში იმყოფებოდა რამდენიმე თვე, რის შემდეგაც კვლავ მშობლიურ სოფელში გაამწესეს, სადაც სოფლის გლეხკაცებში აქტიურად აწარმოებდა რევოლუციურ პროპაგანდას, ქმნიდა ორგანიზაციებს და მათ თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან აკავშირებდა. 1905 წელს თბილისის კომიტეტმა ის ალექსანდროპოლში გაგზავნა, რათა ალექსანდროპოლის, ერევნის, ყარსის დეპოს მუშათა ორგანიზაციები ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა ცენტრთან დაეკავშირებინა. 1906 წელს იგი თბილისშია და სოციალ-დემოკრატიულ პრესაში პოლიტიკურ- ეკონომიკურ საკითხებზე წერილებს ბეჭდავდა. 1906-1909 წლებში ის კვლავ პატიმრობაში იმყოფებოდა, რის შემდეგაც სამუდამოდ ციმბირში გადაასახლეს. 1914 წელს კ. ანდრონიკაშვილი გადასახლებიდან გამოიქცა, ერთხანს მოსკოვში იმალებოდა, ხოლო შემდეგ იძულებული გახდა, საზღვარგარეთ წასულიყო, ცხოვრობდა ჟენევაში, ლოზანაში, პარიზში, კვლავ ლოზანაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კ. ანდრონიკაშვილი აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ საქმიანობაში. 1918 წელს შედიოდა ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში. 1919 წლის თებერვალში სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრების წევრად, 1919 წ-ის 12 მარტს პირველივე სხდომაზე ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მან აქტიური ბრძოლა გააჩაღა ბოლშევიკების საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ. 1923 წელს ანდრონიკაშვილი დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე გახდა, რომელსაც 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხებამდე ხელმძღვანელობდა. კ. ანდრონიკაშვილის ფსევდონიმი იყო „სოლომონი“. 1924 წლის 22 აგვისტოს „დამკომის“ უკანასკნელი სხდომა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ: კ. ანდრონიკაშვილი, ი. ჯავახიშვილი, შ. ამირეჯიბი. 1924 წლის 3 სექტემბერს ანდრონიკაშვილი მცხეთის მილიციის ცხენოსანმა პატრულმა შიომღვიმის მონასტერთან ახლოს „დამკომის“ სხვა წევრებთან ერთად დააპატიმრა. დაპატიმრებულმა ხელმძღვანელებმა, მუქარის ქვეშ, ხელი მოაწერეს განცხადებას „დამკომის“ დაშლის შესახებ.

საბჭოთა სასამართლომ კ. ანდრონიკაშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიუსაჯა. სასამართლოზე წარმოთქმულ სიტყვაში ქართველ ხალხს მოუწოდა მშვიდობიანი გზით მოქმედებისკენ: „...აჯანყების დამარცხება სრულიად არ ნიშნავს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის დამარცხებას, გაკოტრებას, მხოლოდ სვლა აჯანყების გზით ამ იდეის ცხოვრებაში გასატარებლად, უნდა ჩაითვალოს ერთხელ და უკანასკნელად მავნე მეთოდად ერის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ სადავო საკითხების გადაწყვეტაში. აჯანყების შედეგები და მის შემდეგ შექმნილი მდგომარეობა, ავალებს საქართველოს ყველა ქართველ პოლიტიკურ პარტიებს დაადგნენ მშვიდობიან გზას და საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში, საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობით და გზა და გზა ღონიერი და საღი კრიტიკით მიიღონ მონაწილეობა ქართველი ხალხის ეროვნულ სახელმწიფოებრივ, ეკონომიკურ და კულტურულ აღმშენებლობაში. ეს არის ჩემი აზრი და საჭიროა რომ ყველა ქართული პარტიები დაადგნენ მშვიდობიან გზას...“.

სავარაუდოდ, კოტე ანდრონიკაშვილი 1937-1938 წლების საბჭოთა დიდ ტერორს ემსხვერპლა.

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა მერაბ გეგეჭკორს, რომელიც მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა კომისიას განცხადებაზე დროული რეაგირებისა და წარმოდგენილი ინიციატივის მხარდაჭერისთვის.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:
შენიშვნა და მოსაზრებები არ ყოფილა.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი განცხადება დადებითი რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, რათა შესაბამისმა კომისიამ უახლოეს სხდომაზე იმსჯელოს კონსტანტინე ანდრონიკაშვილის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარე:

კახაბერ ლაბუჩიძე